XI თავი

სტუდენტის სტატუსის შეჩერება

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგულაცია განისაზღვრება ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლით, შესაბამისი აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურისთვის - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით და დოქტორანტურის საფეხურისათვის „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებით (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 20**) და ,,ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებით (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი 3).**

ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) ან/და აკადემიური რეგისტრაციის (სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში რეგისტრაციის) გაუვლელობა;

ბ) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა).

,,ბ“-,,დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით **სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 15 დღისა.** ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის ან სხვა შემთხვევაში, როცა დოკუმენტურად დასტურდება სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობის შეუძლებლობა, გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით, დეკანის წარდგინების საფუძველზე.

სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ ბრძანება გამოიცემა სტუდენტის მომართვის საფუძველზე, **მაგრამ სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღისა.** სტუდენტის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის სემესტრში (გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრში, როცა პირს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია სასწავლო პროცესში დაბრუნების მიზნით მონაწილეობა მიიღოს ბსუ-ს შიდა მობილობის პროცესში.

შესაბამის სემესტრში **აკადემიური რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ,** სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და დეკანის ოფისიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიცემა რექტორის ბრძანება აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, სტუდენტთათვის საჯარო გამოცხადების მიზნით. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე სტუდენტს არ დაერიცხება შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასური.

შესაბამის სემესტრში (შესაბამის ეტაპზე) **ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის** - სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ

რექტორის ბრძანება გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით ამ სასწავლო წელს განსაზღვრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სწავლის საფასურის გადახდის წესის მიხედვით.

დამატებითი სასწავლო წლის/სემესტრის სტუდენტს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი არ უჩერდება და გამოიცემა ბრძანება ამ პირისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.